საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციის
ქუთაისის ფილიალი

წლიური ანგარიში 2023

კანონის
უზენაესობა
სამართლიანობისთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

ქუთაისის ფილიალი

წლიური ანგარიში
2023

კანონის

უზენაესობა

სამართლიანობისთვის

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

საიას ქუთაისის ფილიალის საქმიანობის შესახებ 4

მედიამონიტორინგი 5

თანამშრომლობა საქართველოს პარტნიორებსა და არასამთავრობო სექტორთან 6

სამართლებრივი დახმარება 7

იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები 7

საადვოკატო მომსახურება 8

წარმატებით დასრულებული მნიშვნელოვანი საქმეები 8

ადამიანის უფლებების დაცვა 11

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი 11

გარემოს დაცვა 11

წარმატებული საადვოკაციო კამპანია 11

ტრენინგები, საჯარო ლექციები და დისკუსიები 12

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა 13

არჩევნების მონიტორინგი 13

ადგილობრივი თვითმმართველობა 14

თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან 14

იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება 15

სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა 15

იმიტირებული სასამართლო პროცესი 15

სტაჟირების პროგრამა 16

წინასიტყვაობა

გულითადად მიხარია, რომ მაქვს პატივი, შევაჯამო საიას ქუთაისის ფილიალის 2023 წლის საქმიანობა. საანგარიშო წელი სავსე იყო გამოწვევებით, რომლებიც ზრდის ენთუზიაზმს და ადასტურებს საიას მსგავსი სტრატეგიული ამოცანების მქონე ორგანიზაციის არსებობის მნიშვნელობას სახელმწიფოში.

საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატებმა არაერთ ადამიანს გაუწიეს კონსულტაცია და დარღვეული უფლებების აღდგენაში დაეხმარნენ, გამართეს შეხვედრები საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტების რეალიზაციის მონიტორინგის პროცესში. საიას ქუთაისის ფილიალი კვლავ განაგრძობს ზრუნვას კვალიფიციური, იურიდიული განათლების განვითარებისთვის. სტაჟირების პროგრამა იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტები ადვოკატებთან ერთად ჩაერთონ საქმის მომზადებისა და წარმოების პროცესში. ასევე, საიას ქუთაისის ფილიალის სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა მოსწავლეებს ეხმარება განვითარებაში, რაც ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის წინაპირობაა.

2023 წელი ისტორიული შესაძლებლობის - ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვების წელია. საია მხარს უჭერს ევროინტეგრაციის პროცესს და მუდმივ მზაობას აცხადებს, თავისი წვლილი შეიტანოს ევროინტეგრაციის წარმატებით განხორციელებაში ნებისმიერ დონეზე.

საიას ქუთაისის ფილიალის ყოველდღიურ საქმიანობაში იგრძნობა ადამიანების ნდობა, რაც ორგანიზაციის ყველაზე დიდი მონაპოვარია და განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება. ორგანიზაცია ყოველთვის გამოირჩეოდა ენთუზიაზმით სავსე, პროფესიონალიზმსა და სწორ ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომებით და მჯერა, იგივე სულისკვეთება მომავალი წარმატებების განმსაზღვრელი იქნება.

საპასუხისმგებლო 2023 წელს არანაკლებ მნიშვნელოვანი 2024 წელი მოსდევს. წინ არჩევნებია, რაც ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს.

მადლობა თითოეულ თქვენგანს მხარდაჭერისა და გულშემატკივრობისთვის.

დარეჯან სალდაძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე

საიას ქუთაისის ფილიალის საქმიანობის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი დაფუძნდა 1996 წლის ნოემბერში. ფილიალი თავისი საქმიანობით ფარავს იმერეთის რეგიონის თორმეტი-ვე მუნიციპალიტეტს (ქუთაისი, წყალტუბო, ზესტაფონი, თერჯოლა, ხარაგაული, ტყიბული, საჩხერე, ჭიათურა, ვანი, ბაღდათი, ხონი, სამტრედია), ასევე, მოიცავს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონს.

ქუთაისის ფილიალი თავის საქმიანობას წარმართავს საიას ძირითადი სტრატეგიული მიზ-ნების შესაბამისად:

- ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლება
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა
- ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება
- ორგანიზაციული გაძლიერება/განვითარება
- საიას პოზიციონირების გაძლიერება

შინაარსობრივ საქმიანობას საიას ქუთაისის ფილიალი სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ესენია: სამართლებრივი დახმარების პროგრამა, ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა, დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა.

დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საიას ქუთაისის ფილიალის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2023 წლის ანგარიშს. საანგარიშო პერიოდი: 2023 წლის 1-ლი იანვარი – 2023 წლის 31 დეკემბერი.

მედიამონიტორინგი

საიას ქუთაისის ფილიალი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონულ მაუწყებლებთან მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, რაც საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრებას ისახავს მიზნად.

საიას ქუთაისის ფილიალსა და ტელე-რადიო კომპანია ,,რიონს“ შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, კვლავ გრძელდება ყოველკვირეული გადაცემა ,,კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის.“ გადაცემის ფარგლებში განიხილება სამართლებრივი საკითხები საზოგადოებისთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა 28 ტელე-რადიო გადაცემა შემდეგ თემებზე: მსჯავრდებულთა შეწყალების წესი; მოქალაქეობის ძირითადი პრინციპები, მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლები; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები; დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში; ბავშვის უფლებები; სახელმწიფო პენსიის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული გამოწვევები; მუნიციპალიტეტის მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშების მოსმენის წესი; ადმინისტრაციული წარმოება საჯარო დაწესებულებებში და ა.შ.

საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები ასევე აქტიურად თანამშრომლობენ ქუთაისში მოქმედ სხვა მედიაორგანიზაციებთან. საანგარიშო პერიოდში ისინი მონაწილეობდნენ:

- ტელეკომპანია ,,მეგა TV“-ის პოდკასტების გადაცემათა სერიაში, თემებზე: არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა; მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრაციის წესი.
- საინფორმაციო პორტალ ,,ქუთაისიპოსტის“ რუბრიკაში ,,სასამართლო საათი“, შემდეგ თემებზე: საქმეების განხილვის ვადები სასამართლოში, სარჩელის წარმოებაში მიღების საფუძვლები და ა.შ.
- ტელეკომპანია ,,რიონის“ გადაცემაში პოლიტიკური რუკა, თემებზე: საიას სამართლებრივი შეფასება პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით; გარემოსდაცვითი პოლიტიკა და მმართველობის პრინციპები და ა.შ.

საიას ქუთაისის ფილიალი საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიურად ეხმარებოდა ჟურნალისტებს მათთვის საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტების გამოვლენისას, მათ შორის, სახელმწიფო უწყებების მხრიდან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დროს და უზრუნველყოფდა მათ სამართლებრივი კონსულტაციით.

თანამშრომლობა საქართველოს პარტნიორებსა და არასამთავრობო სექტორთან

2023 წელს განსაკუთრებულად გაიზარდა პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს მიმართ. დიდი იყო მათი მხრიდან ინტერესი, შეხვედროდნენ სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს.

საიას ქუთაისის ფილიალის თანამშრომლები შეხვდნენ ევროკავშირის წარმომადგენლობის პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ევია კოტანს და მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში, რომელიც შეეხებოდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობას, ასევე, ორგანიზაციის წარმომადგენლების შეხედულებებს ევროკავშირის, საქართველოს ევროპული პერსპექტივის და სხვა საინტერესო თემების შესახებ.

ასევე, გაიმართა შეხვედრა ბრიტანეთის ელჩ მარკ კლეიტონთან, რა დროსაც საიას ქუთაისის ფილიალის წარმომადგენელს შესაძლებლობა ჰქონდა, ესაუბრა რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალი აგრძელებდა ტრადიციას და თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან. ფილიალის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ყოველთვიურ საინფორმაციო შეხვედრებში, რომელთა ნაწილი საიას ქუთაისის ფილიალის ოფისში გაიმართა. ეს ფორმატი უზრუნველყოფს ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობების შეჯამებას და დაგეგმილი აქტივობების განხილვას.

ამგვარი შეხვედრები მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაღრმავებისა და რეგიონში მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის.

საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები დაეხმარნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჯამში, 22 არასამეწარმეო იურიდიულ პირს, სარეგისტრაციო მონაცემები მეწარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისობაში მოეყვანათ.

სამართლებრივი დახმარება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანი იყო და რჩება ადამიანის უფლებების დაცვა. საანგარიშო პერიოდში ქუთაისის ფილიალის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მოსახლეობისთვის უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევა იყო.

საიას ქუთაისის ფილიალი, ეროვნულ დონეზე, ადამიანებს ეხმარება იურიდიული კონსულტაციების გაცემის, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისა და საადვოკატო მომსახურების გაწევის გზით.

უფასო იურიდიული დახმარებით საიას ქუთაისის ფილიალი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კონკრეტული პირების დარღვეული უფლებების აღდგენას, ასევე, სტრატეგიული საადვოკატო საქმეების წარმოებით, ხელს უწყობს სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ხოლო მეორე მხრივ, ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ცოდნა და შეიძინონ ის ძირითადი უნარები, რომლებიც აუცილებელია მომავალში საკუთარი უფლებების დასაცავად.

იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია 5660 პირს. ბენეფიციარებისთვის მომზადდა 570 სამართლებრივი დოკუმენტი სხვადასხვა თემაზე. მათ შორისაა: დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, ბავშვის საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების განკარგვა, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებები, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, ალიმენტის დაკისრება, ბავშვის ნახვის დღეებისა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ა.შ. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, წარდგენილი მოთხოვნების უმრავლესობა დაკმაყოფილდა.

გაწეული კონსულტაციები ტიპების მიხედვით

პირადი	სატელეფონო	ონლაინ
2430	2560	670

კონსულტაციები საკითხების მიხედვით

სამოქალაქო სამართალი	ადმინისტრაციული სამართალი	სისხლის სამართალი
3180	1940	540

სამართლებრივი კონსულტაციები, ძირითადად, შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: საოჯახო, მემკვიდრეობითი, შრომითი, სახელშეკრულებო ურთიერთობები, სამართალდარღვევა, პერსონალური მონაცემების დაცვა, სოციალური დახმარება, დისკრიმინაცია, ბავშვის უფლებები, დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, საკუთრების უფლება, აღსრულება, პაციენტის უფლებების დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

საადვოკატო მომსახურება

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრი ეწეოდა უფასო საადვოკატო მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც ფილიალის წარმოებაში იყო 38 საადვოკატო საქმე (საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის საქმეები წარმოებაში გადაეცა საიას სათავო ოფისს), მათ შორის:

სამოქალაქო საქმე	ადმინისტრაციული საქმე	სისხლის სამართლის საქმე
13	25	14

წარმატებით დასრულებული მნიშვნელოვანი საქმეები

- **საწარმოო შემთხვევის შედეგად მშენებლობაზე გარდაცვლილი პირის არასრულწლოვანი შვილი სარჩოს მიიღებს**

საია სასამართლოში იცავდა ბავშვის ინტერესებს, რომლის მამა მშენებლობაზე მუშაობის დროს სიმაღლიდან გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა. მამის ტრაგიკული დაღუპვის შედეგად, ბავშვმა მიიღო ძლიერი სულიერი ტრავმა და, იმავდროულად, დაკარგა მარჩენალი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე კომპანიას, ბავშვის სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრიდან სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, ყოველთვიური სარჩოს გადახდა დაეკისრა.

- **ექვსი პირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა**

საია სასამართლოში იცავდა იმ ექვსი მოქალაქის ინტერესებს, რომლებიც ნამოხვან ჰესის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ მშვიდობიან პროტესტში მონაწილეობდნენ და სამართალდამცავი უწყება მათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას ედავებოდა. კერძოდ, მშვიდობიანი შეკრების დროს, როდესაც მოქალაქეები კონსტიტუციით მინიჭებული უფლების ფარგლებში მოქმედებდნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მათ მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინეს.

საიას დახმარებით, მოქალაქეებმა ჯერ შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარ სამმართველოში, ხოლო შემდეგ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრეს მათ წინააღმდეგ გამოცემული სამართალდარღვევის ოქმები.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თითოეული პირის მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისი დადგენილება ბათილად ცნო, რადგან მათი მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა. შედეგად, ექვსივე პირის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება და გაუქმდა მათ წინააღმდეგ გამოყენებული ადმინისტრაციული სანქცია.

- **სასამართლომ სახელმწიფოს მოქალაქისგან უსასყიდლოდ მიღებული მომსახურების ანაზღაურება დაავალა**

საია სასამართლოში იცავდა მოქალაქეს, რომელიც წლების განმავლობაში ჩართული იყო სამშენებლო ბიზნესში. მისი განმარტებით, 2011 წელს დაიბარეს სამართალდამცავ უწყებაში და განუცხადეს, რომ მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, თუ იგი თავისი ნებით ქუთაისში შეასრულებდა 200 000 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოებს. მოპასუხე საავტომობილო გზების დეპარტამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ 171 000 ლარის გადახდა დაევალა.

- **სასამართლომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან ორი პირის გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია**

საია სასამართლოში იცავდა ორი მოქალაქის ინტერესებს. ერთი მათგანი იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილების უფროსი, რომელიც უწყებაში მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო მეორე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, რომელიც ამ დაწესებულებაში 2015 წლიდან მუშაობდა. გათავისუფლებამდე მის მიმართ ჯერ დაიწყო დისციპლინური წარმოება, შემდეგ კი, მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს.

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე საქმეზე მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლება. ამასთანავე, მოპასუხეს დაევალა მათი სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოში მხარეები მორიგდნენ და მოპასუხე უწყებას იძულებითი განაცდურის გადახდა დაეკისრა.

- **ფემიციდის მსხვერპლის არასრულწლოვანი შვილი სახელმწიფოსგან კომპენსაციას მიიღებს**

საია წარმოადგენდა ფემიციდის მსხვერპლის არასრულწლოვანი შვილის ინტერესებს სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში. სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედეგად გარდაცვლილი პირის არასრულწლოვანი შვილი კომპენსაციის სახით 10 000 ლარს მიიღებს.

- **სს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა დაევალა**

საია იცავდა მოქალაქის ინტერესებს, რომლის ოჯახის საცხოვრებელი სახლისა და ეზოს თავზე ელგადამცემი სადენები გაიყვანეს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დაევალა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ კომპანიის კუთვნილი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ღია სადენების შეცვლისა და გადატანის სამუშაოების ჩატარება.

ადამიანის უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. ორგანიზაცია სწავლობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აანალიზებს გამოწვევებს და ხელს უწყობს ცვლილებებს პოლიტიკის დონეზე. საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალმა, გასული წლების მსგავსად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა.

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განაგრძობს სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. პროექტის ფარგლებში საიას მონიტორი აკვირდებოდა პროცესების მიმდინარეობას ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. მონიტორინგისა და კვლევის შედეგად, გაანალიზდა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე გამოკვეთილი გამოწვევები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს პირის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებაზე, სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და ამ უფლებების ეფექტიანი დაცვის საშუალებებზე, ასევე, უკავშირდება სასამართლოში სხვადასხვა სისტემურ პრობლემას.

გარემოს დაცვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კვლევითი საქმიანობა. საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები ამ კუთხითაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

საიამ, საქართველოს კანონმდებლობის, ასევე, თავის წარმოებაში არსებული გარემოსდაცვითი საქმეების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, გამოიკვლია და შეაფასა, როგორ არის უზრუნველყოფილი საქართველოში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, რა როლს ასრულებს სასამართლო ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვაში და რა პრობლემებს აწყდებიან პირები პროცესების დროს.

კვლევის ფარგლებში ასევე გაანალიზდა საიას ქუთაისის ფილიალის წარმოებაში არსებული საქმეები, ნამოხვანის ჰესების კასკადისა და ხელედულა 3 ჰესის საქმე. კვლევის შედეგად, გამოვლინდა პრაქტიკაში არსებული პრობლემები და მათ გადასაჭრელად საჭირო რეკომენდაციები შემუშავდა.

წარმატებული საადვოკაციო კამპანია

საიას ქუთაისის ფილიალი ჩართული იყო ადვოკატირების კამპანიაში, რომელიც მიზნად ისახავდა მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციის კუთხით. ქუთაისში მოქმედი შპს „ამბიკონ სტილსის“ მეტალურგიული ქარხანა საქმიანობას ახორციელებდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების დარღვევით, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამოყენების გარეშე, ამასთანავე, არ იცავდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ნორმებს, რაც საფრთხეს უქმნიდა გარემოს და ადამიანების ჯანმრთელობას.

მოქალაქეთა ჩართულობით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სამინისტროსთვის ინსპექტირების ჩატარების თაობაზე არაერთგზის მიმართვის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისა და სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ, შპს „ამბიკონ სტილსზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ძალადაკარგულად გამოაცხადა.

ტრენინგები, საჯარო ლექციები და დისკუსიები

პოლარიზებული გარემოს პირობებში ორგანიზაციის თანმიმდევრულ, პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალ პოზიციონირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საიას ქუთაისის ფილიალი ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს, რათა საზოგადოებას მიაწოდოს გავლენებისგან თავისუფალი, ობიექტური და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოზიცია რეგიონის მასშტაბით.

წლებია, საიას ქუთაისის ფილიალი არა მხოლოდ იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეების აღჭურვას სათანადო ცოდნითა და უნარებით, რომლებიც მათ დაეხმარება უფლებების რეალიზებაში. ამ მიზნით, ფილიალის წარმომადგენლები მონაწილეობენ ტრენინგებში, სემინარებსა და დისკუსიებში.

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალმა ჩაატარა სემინარები, ტრენინგები და საჯარო ლექციები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. გაიმართა 11 შეხვედრა, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის სამართლებრივი საშუალებების, ასევე, ადამიანის უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. გარდა ამისა, ჩატარდა საჯარო ლექციები შემდეგ თემებზე: ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა - შეცვლილი კანონმდებლობა გამოწვევების პირისპირ; ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები; შრომითი დავები დისკრიმინაციის ნიშნით; დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის.

საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები მონაწილეობდნენ ადგილობრივ დონეზე გამართულ პანელურ დისკუსიებსა და შეხვედრებში, რომლებზეც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად განიხილავდნენ სხვადასხვა უფლებასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს. მათ შორის, აღსანიშნავია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ გამართული პანელური დისკუსიები შემდეგ თემებზე:

- ქალთა უფლებების დაცვა - ადმინისტრაციული ღონისძიებები და სოციალური გარანტია;
- ბავშვის მონაწილეობით სასამართლო საქმეების განხილვისას სამართალწარმოების თავისებურებები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე.

ღონისძიებები განეკუთვნებოდა ღია პლატფორმას, რომელზეც საიას ქუთაისის ფილიალის იურისტები, სასამართლო ხელისუფლების, ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების სამსახურის, სამოქალაქო საზოგადოების, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, განიხილავდნენ არსებულ პრაქტიკას და გამოწვევებს.

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პრიორიტეტული მიმართულებაა. ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში ფილიალის ადვოკატები, გასული წლების მსგავსად, კვლავ აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

არჩევნების მონიტორინგი

2023 წლის 29 აპრილს თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს შუალედურ არჩევნებს საიას ქუთაისის ფილიალის ადვოკატები აკვირდებოდნენ.

არჩევნები ქუთაისის მუნიციპალიტეტის №59.01 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო გაიმართა. არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა.

კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით წარიმართა და მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე ჩაიარა. გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის ელექტრონული აპარატების გამოყენებისას. დაკვირვების მიგნებებს საია დარღვევების აღმოფხვრისა და ელექტრონული ტექნოლოგიებით კენჭისყრის პროცესის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შესამუშავებლად, ასევე, სადამკვირვებლო მისიის ეფექტიანად განსახორციელებლად გამოიყენებს.

საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალში გაიმართა ქსელური შეხვედრა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

ღონისძიების მიზანი იყო საარჩევნო გარემოს შეფასება ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, რამდენად სამართლიანია იგი. საუბარი შეეხო ასევე პოლიტიკური ნიშნით დაშინების, მუქარის და ზეწოლის ფაქტების გამოვლენას, აგრეთვე, არსებულ გარემოს ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც ისაუბრეს ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა: ამომრჩევლის ნების კონტროლი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება და სხვა.

ადგილობრივი თვითმმართველობა

საიამ განახორციელა კვლევა საქართველოს 9 საკრებულოში, მათ შორის, ქუთაისის მუნიციპალიტეტში. კვლევის მიზანი იყო საზედამხედველო ფუნქციების და მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების გამოყენების ანალიზი. კვლევის ინსტრუმენტებს განეკუთვნებოდა: საკრებულოსა და მისი კომისიების სხდომების მონიტორინგი; საკრებულოს გადაწყვეტილებების ანალიზი; საკრებულოს აქტივობებზე დაკვირვება; საჯარო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიება და დამუშავება; მონიტორინგის სუბიექტების ოფიციალურ ვებგვერდებსა და სოციალური მედიის პლატფორმებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი; საჯარო მედიაწყაროების მონიტორინგი და ანალიზი. დოკუმენტში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისა და საკრებულოს მხრიდან მერიის ზედამხედველობის კუთხით.

თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან

საიას ქუთაისის ფილიალი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელებულ ძირითად საქმიანობებში (სამოქმედო გეგმის დამტკიცება, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში შეხვედრების ორგანიზება და სემინარების ჩატარება, 2021-2023 და 2024 წლების მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტის განხილვა და ა.შ.).

საბჭოს სხდომაზე განიხილეს გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა. გარდა ამისა, საბჭოს წევრები ჩართულში იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციისა და ფონდის მიერ ორგანიზებულ გენდერულ ფორუმებსა და კვლევებში. საბჭოს წევრი ნოდარ ჯიქია მონაწილეობდა სოლიდარობის ცენტრის მიერ ბათუმში გამართული გენდერული ფორუმის რეგიონულ შეხვედრაში, სადაც გააკეთა მოხსენება გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით რეგიონში არსებულ გამოწვევებზე.

იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება კვლავ რჩება საიას ქუთაისის ფილიალის ერთ-ერთ მიმართულებად. საანგარიშო პერიოდში ფილიალი განაგრძობდა საგანმანათლებლო საქმიანობას. ახალგაზრდებისთვის ალტერნატიული, განგრძობადი იურიდიული განათლების, სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი ტრენინგები, საჯარო დისკუსიების ორგანიზება და მუდმივი სიახლეები საინფორმაციო კუთხით - ეს ის მიმართულებებია, რომლებსაც იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს საიას ქუთაისის ფილიალი სთავაზობს.

სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა

2000 წლიდან საიას ქუთაისის ფილიალში ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, რომლის მიზანია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის სამართლის საფუძვლების, სამართლის ისტორიისა და პრაქტიკული სამართლის სწავლება.



საანგარიშო პერიოდში საკვირაო სკოლის 25 მოსწავლე კონკურსის საფუძველზე შეირჩა. ჩატარდა სულ 12 გაკვეთილი. მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილებს ატარებენ საიას ქუთაისის ფილიალის სტაჟიორები, შესაბამისად, საკვირაო სკოლა ხელს უწყობს როგორც მოსწავლეების, ასევე სტუდენტების ცოდნის გაძლიერებას. გაკვეთილები ჩატარდა პრაქტიკულ სამართალსა და სამოქალაქო განათლების შემდეგ საკითხებზე: სამართლის არსი, სფეროები და სახელმწიფოს ფუნქციები; საქართველოს კონსტიტუცია, სახელმწიფო ინსტიტუტები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით; სასამართლო სისტემა; ადამიანის ძირითადი უფლებები და ა.შ.

იმიტირებული სასამართლო პროცესი

საანგარიშო პერიოდში, საიას ქუთაისის ფილიალის ორგანიზებით და საკვირაო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტირებულ სასამართლო დარბაზში გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი ბავშვის უფლებათა სამართალში. საკვირაო სკოლის მოსწავლეებს მენტორობას საიას ქუთაისის ფილიალის სტაჟიორები უწევდნენ. იმიტირებული სასამართლო პროცესის გამარჯვებულ მონაწილეებს, სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში, წიგნები გადაეცათ.

სტაჟირების პროგრამა

საიას ქუთაისის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრში 2000 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს სტაჟირების პროგრამა. საანგარიშო წლის დასაწყისში ის წარმატებით გაიარა 16-მა სტუდენტმა. საანგარიშო პერიოდში კვლავ ჩატარდა კონკურსი და წლის ბოლოს პროგრამა ასევე წარმატებით დაასრულა 12-მა მონაწილემ.

სტაჟირების პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იურისტების დავალებითა და მეთვალყურეობით შეადგინონ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი, გაეცნონ საიას წარმოებაში არსებულ საქმეებს, დაესწრონ კონსულტაციებსა და მათთვის საინტერესო სასამართლო პროცესებს. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის ტარდება ტრენინგები. მათ შორის, აღსანიშნავია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეულ ამერიკელ მოსამართლე პეგი უოლკერთან და საერთაშორისო სამართლებრივი ფონდის იურისტ ქეით კონიერსთან შეხვედრა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ.

სტაჟირების პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეუმჯობესებინათ სწავლების უნარ-ჩვევები. ისინი სტაჟირების განმავლობაში ტრენინგებს უტარებდნენ საიას ქუთაისის ფილიალის საკვირაო სკოლის მოსწავლეებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორს გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც, საანგარიშო პერიოდში საიას ქუთაისის ფილიალში სტაჟირება გაიარა მაგისტრატურის შვიდმა სტუდენტმა. პრაქტიკული კურსის დასრულების შემდეგ მათ სასწავლო კრედიტები მიენიჭათ.

ბიბლიოთეკა

საიას ქუთაისის ფილიალში ბიბლიოთეკა 1996 წლიდან ფუნქციონირებს. ყოველწლიურად წიგნის ფონდი იურიდიული ლიტერატურით ახლდება. საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკით 280-მა მკითხველმა ისარგებლა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის
გამგეობის წევრები
(2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით)

1. დარეჯან სალდაძე - თავმჯდომარე
2. სალომე სალდაძე - თავმჯდომარის მოადგილე
3. ნანული კირთაძე
4. მარიამ ამბროლაძე
5. თენგიზ ამბროლაძე

საიას ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. N11, 4600

ტელ: + (995 431) 241192

ფაქსი: + (995 431) 214585

ელფოსტა: kutaisi@gyla.ge